კომისიის კომენტარები

ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება

2016 წლის 23 ივლისი

შესავალი

მიმდინარე წლის 27 აპრილს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საკონსულტაციო დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა კომისიის მოსაზრებებსა და წინადადებებს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის (country code Top Level Domain – ccTLD) მართვისა და ადმინისტრირების რეგულირების თაობაზე.

საკონსულტაციო დოკუმენტის მიზანს წარმოადგენდა იმ ძირითადი პრინციპებისა და წესების შემუშავება და მიღება, რომლებიც, საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და დაინტერესებული პირების მოსაზრებებზე დაყრდნობით, ხელს შეუწყობს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვისა და ადმინისტრირების საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანას, ასევე - აღნიშნულ ბაზარზე კონკურენციის განვითარებასა და მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დაცვას.

საკითხის უკეთ წარმოსაჩენად, კომისიამ შეისწავლა და მიმოიხილა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ევროპული ქვეყნების პრაქტიკა და შესაბამისი კანონმდებლობა[1] და გამომდინარე ყოველივე აქედან, დაინტერესებულ საზოგადოებას განსახილველად წარუდგინა თავისი მოსაზრებები და წინადადებები ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდისა და ზედა დონის დომენში ქვეყნის ეროვნული კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირების თაობაზე.

ამავდროულად, ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვისა და ადმინისტრირების საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანის, ასევე - აღნიშნულ ბაზარზე კონკურენციის განვითარებისა და მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით,

[1] დოკუმენტების ჩამონათვალი და მოსაძიებელი მისამართები იხილეთ საკონსულტაციო დოკუმენტში.

კომისიამ, საერთაშორისო პრაქტიკისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების განხილვის საფუძველზე, საკონსულტაციოდ წარმოადგინა ოთხი კითხვა:

კითხვები:

1. *ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ საქართველოში უნდა დაინერგოს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება, რათა აღნიშნული ჰარმონიზაციაში მოვიდეს სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან? გამომდინარე აქედან, ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ აღნიშნული რეგულირება უნდა განახორციელოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, როგორც ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ და საქართველოს წარმომადგენელმა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტში?*
2. *კითხვა „1“-ზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში უნდა შევიდეს შესაბამისი დამატებები აღნიშნულის განსახორციელებლად? ამავდროულად, ეთანხმებით თუ არა კომისიას, რომ მან, ორივე ადმინისტრატორისა (.ge , .გე) და შესაბამისი დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უნდა მოამზადოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მემორანდუმი ან ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც განისაზღვრება კომისიისა და ორივე ადმინისტრატორის (.ge, .გე) უფლებები, ვალდებულებები და ურთიერთთანამშრომლობა?*
3. *მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა, რომ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაცებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოშიც უნდა დაინერგოს ccTLD ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელი?*
4. *მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N733/2002 და N874/2004 რეგულაციების გათვალისწინებითა და შვეიცარიის მაგალითის მსგავსად, ccTLD ადმინისტრატორის შერჩევა უნდა ხორციელდებოდეს კონკურსის გზით?*

საკონსულტაციო პერიოდი თავდაპირველად მოიცავდა 6 (ექვს) კვირას. მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად, საკონსულტაციო პროცესი გაგრძელდა კიდევ 2 კვირით და დასრულდა მიმდინარე წლის 25 ივნისს.

საკონსულტაციო პერიოდის განმავლობაში შემოვიდა 12 რესპოდენტის პასუხი. აქედან 6 წერილი შემოსულია ორგანიზაციებისა და კომპანიების სახელით, 6 წერილი - მომხმარებლების მიერ.

რესპოდენტი	კატეგორია
ნიკოლოზ ჭიაურელი	შპს „კავკასუს ონლაინის“, .ge დომენის ადმინისტრატორი
სანდრო ქარუმიძე	ISOC Georgia Chapter
ანდრია ზოდელავა	შპს „მაგთიკომი“
მამუკა მონავარდისაშვილი	საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის, .გე დომენის ადმინისტრატორი
იოსებ მესხიშვილი	UGT
ლაშა კვანტალიანი	კომპანია, „ფლექსბოქსი“
გიორგი მირზიკაშვილი	მომხმარებელი
ეკატერინე გადახაბაძე	მომხმარებელი
ოლიკო ნადირაძე	მომხმარებელი
ხატია ლაპიაშვილი	მომხმარებელი
შოთა გიორგობიანი	მომხმარებელი

ერთმა რესპოდენტმა (მომხმარებელმა) ინკოგნიტოდ დარჩენა მოისურვა; შესაბამისად, კომისია ვერ გამოაქვეყნებს მის ვინაობას, თუმცა, რესპონდენტის თანხმობით, კომისიას უფლება აქვს, წარმოადგინოს და განიხილოს მისი პასუხი.

1. **პირველი კითხვის პასუხად, 12 რესპოდენტიდან[2]:**
   - ერთი რესპოდენტი მიესალმება კომისიის წინადადებას ამ თემასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ „საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და გაანალიზებისათვის საჭიროა სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და ამავე დროს ქვეყნების დონეზე შესაბამისი კვლევების ჩატარება“. რესპოდენტის სურვილია, კომისიამ „გამართოს საკითხის საჯარო განხილვა, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, გამოხატოს საკუთარი პოზიცია“;
   - ერთი რესპოდენტი თვლის, რომ ccTLD მართვა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს;
   - ერთი რესპოდენტის აზრით, ამ ეტაპზე კომისიამ უნდა განახორციელოს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება, ხოლო მომავალში მიზანშეწონილად მიაჩნია შესაბამისი კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ როგორც მარეგულირებელი კომისიის, „ისე მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ან

[2] „რესპოდენტში“ იგულისხმება შემოსული წერილები; როგორც უკვე აღვნიშნეთ, 6 წერილი შემოსულია ორგანიზაციების/კომპანიების სახელით, ხოლო დანარჩენი 6 - მომხმარებლების სახელით. შესაბამისად, ჩვენ ვერ წარმოვადგენთ მოპასუხეთა ზუსტ რაოდენობას.

რაიმე სხვა სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები და ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტები“ და რომელიც იზრუნებს შემდგომ აღნიშნულზე;

- ორ რესპოდენტს მიაჩნია, რომ ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირება უნდა ხორციელდებოდეს თვით-რეგულირების პრინციპით; ამ ორიდან ერთი თვლის, რომ ადმინისტრირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი „ინტერნეტ-საზოგადოების“ ინტერესები და თუ ამგვარი ტიპის მოდელი არ გაამართლებს, მერე უკვე შეიძლება ვიფიქროთ რაიმე სახის სამართლებრივ ცვლილებაზე;
- შვიდი რესპოდენტი ეთანხმება კომისიას, რომ საქართველოში უნდა დაინერგოს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება, რათა აღნიშნული ჰარმონიზაციაში მოვიდეს სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.
- ათივე რესპოდენტს მიაჩნია, რომ აღნიშნული რეგულირება უნდა განახორციელოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, როგორც ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ და საქართველოს წარმომადგენელმა მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტში. 10 რესპოდენტიდან ერთი თვლის, რომ ეს საკითხი აქამდეც უნდა მოგვარებულიყო; ერთ რესპოდენტს კი მიაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს თავისი ccTLD მართვა.

2. მეორე კითხვის პასუხად:

- ერთ რესპოდენტი კითხვას არ პასუხობს;
- ორი რესპოდენტი კომისიას უარყოფითად პასუხობს;
- ერთი რესპოდენტი მიიჩნევს, რომ კომისიამ უნდა აიღოს თავის თავზე ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის ადმინისტრირება;
- რვა რესპოდენტს მიაჩნია, რომ კომისიამ, ორივე ადმინისტრატორისა (.ge , .გე) და შესაბამისი დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უნდა მოამზადოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მემორანდუმი ან ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც განისაზღვრება კომისიისა და ორივე ადმინისტრატორის (.ge, .გე) უფლებები, ვალდებულებები და ურთიერთთანამშრომლობა;

3. მესამე კითხვის პასუხად:

- ერთი რესპოდენტი კითხვაზე არ პასუხობს;
- ათი რესპოდენტი მიიჩნევს, რომ უნდა დაინერგოს ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელი;
- ერთი რესპოდენტი გვაცნობებს, რომ შპს „კავკასუს ონლაინს“, უკვე დაწყებული აქვს ადმინსიტრატორ-რეგისტრატორის მოდელის დანერგვაზე მუშაობა; იგი თვლის, რომ „კავკასუს ონლაინი“ ბაზარზე უნდა დარჩეს ადმინისტრატორ-რეგისტატორად, მაგრამ

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაბამისი პირობების დაკმაყოფილებისა და შპს „კავკასუს ონლაინთან“ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში მიენიჭება რეგისტორის უფლებები;

4. **მეოთხე კითხვის პასუხად:**
   - ერთ რესპოდენტს კითხვაზე პასუხი არ გაუცია;
   - ორ რესპოდენტის პასუხი დასმულ კითხვას არ პასუხობს;
   - ერთი რესპოდენტი კომისიას უარყოფითად პასუხობს;
   - რვა რესპოდენტს მიაჩნია, რომ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს N733/2002 და N874/2004 რეგულაციების გათვალისწინებითა და შვეიცარიის მაგალითის მსგავსად, ccTLD ადმინისტრატორის შერჩევა უნდა ხორციელდებოდეს კონკურსის გზით.

კომისიაში შემოსული 12 პასუხიდან რამდენიმე იმგვარად არის აგებული, რომ მოითხოვს შემდგომ ახსნა-განმარტებას და პასუხს კომისიის მხრიდან. შევეცდებით, თანმიმდევრულად გავცეთ პასუხები რესპოდენტთა კითხვებსა და კომენტარებს[3]:

1. ნიკოლოზ ჭიაურელი, შპს „კავკასუს ონლაინი“, .ge დომენის ადმინისტრატორი

„წინამდებარე დოკუმენტით შპს „კავკასუს ონლაინს“ სურს წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის (ccTLD) მართვა-ადმინისტრირების რეგულირების საკითხების შესახებ კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საკონსულტაციო დოკუმენტთან (შემდგომში - საკონსულტაციო დოკუმენტი) დაკავშირებით.

უდაოა, რომ თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილის - გლობალური ქსელის უსწრაფესი ტემპებით განვითარება სულ უფროდაუფრო მეტ კითხვას წარმოშობს. თუმცა საყურადღებოა, რომ გლობალური ქსელის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მთავარ კითხვად რჩებოდა მისი რეგულირების საჭიროება-არ საჭიროების საკითხი. მიჩნეულია, რომ დღევანდელ დღეს აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა და დღის წესრიგში დადგა ინტერნეტის მმართველობაში სახელმწიფოს ჩართულობის საჭიროება-არ საჭიროების საკითხის განსაზღვრაც, მათ შორის, სახელმწიფოს ჩართულობა მისი ccTLD-ს მართვაში.

საკონსულტაციო დოკუმენტში დასმული პირველი კითხვა შეეხება საქართველოში არსებული სიტუაციის სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა

[3] პასუხებს თან ერთვის ავტორთა გვარები, სახელები, ელ. ფოსტის მისამართები და ტელეფონები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით, კომისია არ აქვეყნებს ავტორთა ელ. ფოსტის მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს.

და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციაში მოსვლის საჭიროებას, თუმცა თუ რა არის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ჯერ კიდევ საფუძვლიანი შესწავლის საგანია. ჩვენი აზრით, ccTLD-ს მართვასთან დაკავშირებით საკონსულტაციო დოკუმენტში მიმოხილული საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) მიერ ჩაატარებული გამოკითხვა წევრ ქვეყნებს შორის, შეიძლება შეფასდეს, როგორც მხოლოდ მცდელობა იმის დადგენისა თუ როგორი ტიპის ურთიერთობაა წევრ ქვეყნებსა და მათ ccTLD ადმინისტრატორებს შორის. იმდენად, რამდენადაც 189 წევრი ქვეყნიდან გამოკითხვაში მხოლოდ 66 ქვეყნამ მიიღო მონაწილეობა, რაც წევრი ქვეყნების მხოლოდ 35%. ამდენად, აღნიშნული გამოკითხვის შედეგები და მასზე დაყრდნობით საკონსულტაციო დოკუმენტში მოყვანილი გრაფიკი და მოსაზრებები ასახავს წევრი ქვეყნების პრაქტიკის მხოლოდ 1/3-ს. აგრეთვე, რთულია იმაზე საუბარი აღნიშნული პრაქტიკა რამდენადაა საუკეთესო და ეფექტური.

შპს „კავკასუს ონლაინი“ ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერს თანამშრომლობას კერძო და საჯარო სექტორებს შორის, თუმცა მისთვის ასევე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ინტერესების გათვალისწინებაც. ამ ეტაპზე, საკონსულტაციო დოკუმენტში მოყვანილი მიმოხილვა ისევე, როგორც გამოყენებული პროფ. გეისტის საყოველთაო კითხვარი - „მთავრობა და ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში“ მიუთითებს მხოლოდ მთავრობის ჩართულობის მნიშვნელობაზე და სრულად უგულვებელყოფს კერძო სექტორს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ისტორიულად და ახლაც თამაშობს ინტერნეტის განვითარებასა და სტაბილურობის დანერგვაში. ამასთან, შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ პასუხ გაუცემელი რჩება, თუ რითია განპირობებული ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირების დანერგვის საკითხის წინ წამოწევა. მით, უფრო რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში პირიქით შეიმჩნევა საკომუნიკაციო ინდუსტრიის ბაზრის დე-რეგულირების ტენდეცია. ამასთან, ccTLD-ს მართვაში სახელმწიფო ჩართულობის კრიტიკოსების აზრით, ინერნეტმა დღევანდელ პოზიციებს მიაღწია სახელმწიფო რეგულაციების გარეშე და ამდენად დომეინების სისტემისთვის საუკეთესოა მისი დატოვება დეცენტრალიზებულად, თვით-რეგულირების პირობებში.

რაც შეეხება საქართველოში ccTLD ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელის დანერგვას, გვსურს გაცნობოთ, რომ შპს „კავკასუს ონლაინის“ ამ მხრივ უკვე მუშაობა დაწყებული აქვს. ამ ეტაპზე, რთულია საუბარი კონკრეტულ დეტალებზე, თუმცა შემუშავებული მოდელის მიხედვით შპს „კავკასუს ონლაინი“ ბაზარზე დარჩება, როგორც ადმინისტრატორ-რეგისტრატორი და ამასთანავე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაბამისი პირობების დაკმაყოფილებისა და შპს „კავკასუს ონლაინთან“ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში

მიენიჭება რეგისტორის უფლებები. შემუშავებული მოდელი მიზნად ისახავს ბაზარზე არსებული სიტუაციის წახალისებასა და მომხმარებლების ინტერესებისა და მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. მოგეხსენებათ, რომ შპს შპს „კავკასუს ონლაინსა“ და შპს „მაგთიკომს“ შორის მიმდინარე წლის 30 მაისს ხელი მოეწერა საოპერაციო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებში ნასყიდობის საგნის შპს „მაგთიკომისთვის“ გადაცემის პროცესი ეტაპობრივად იწარმოებს და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. ამდენად, კომპანია ახლა გარდამავალ რეჟიმში იმყოფება და მას მერე, რაც დასრულდება შპს „მაგთიკომისთვის“ შეძენილი აქტივების გადაცემა მზად ვართ დავიწყოთ ერთობლივი მუშაობა ადმინისტრატორ-რეგისტრატორის ახალ მოდელზე.
პატივისცემით,

/_____/
შპს „კავკასუს ონლაინის“ დირექტორი
ნ. ჭიაურელი“

კომისიის პასუხი:

უპირველეს ყოვლისა, გვსურს აღვნიშნოთ შპს „კავკასუს ონლაინის“ როლი ccTLD-ს მართვის საქმეში. წლების განმავლობაში „კავკასუს ონლაინი“ წარმოადგენს .ge დომენის ადმინისტრატორსა და ექსკლუზიურ რეგისტრატორს და აღსანიშნავია „კავკასუს ონლაინის“ ღვაწლი ამ კუთხითაც. აქვე დავამატებთ, რომ კერძო სექტორის როლი, ინტერნეტისა და ზოგადად, დომენების სწრაფი „ონლაინ“ რეგისტრაციისა და სტაბილურობის კუთხით უდაოა. ამასვე ადასტურებს პროფესორ გეისტიც თავის კვლევაში „მთავრობა და ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში“. კერძოდ, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) მიერ ჩაატარებულ გამოკითხვაში და შესაბამისად, პროფ. მიხაელ გეისტის კვლევაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კერძო სექტორის როლს დომენების რეგისტრაციის საქმეში, ანუ იმას, თუ რამდენად მარტივად და სწრაფად ხორციელდება ccTLD ზონაში დომენის დარეგისტრირება, როდესაც ამას კერძო კომპანია ახორციელებს. ამას ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიც ადასტურებს, რომელიც აგებულია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) კითხვარის შედეგებზე დაყრდნობით.



წყარო: ITU–ს კითხვარი

გრაფიკიდან ჩანს, რომ დომენების რეგისტრაცია მაქსიმალურად სწრაფად ხორციელდება სწორედ კერძო კომერციული ორგანიზაციების მიერ. მომდევნო ადგილზეა კერძო არაკომერციული ორგანიზაციები, შემდეგ აკადემიები და ინსტიტუტები და ბოლოს სახელმწიფო დაწესებულებები.

კომისიის მიერ შემოთავაზებული ადმინისტატორ-რეგისტრატორის მოდელიც სწორედ ამ ბაზარზე კერძო სექტორის როლისა და მნიშვნელობის ზრდასა და გაძლიერებას ემსახურება, რადგან იგი ხელს შეუწყობს ყველა რეგისტრატორის ერთნაირ პირობებში ჩაყენებას, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ბაზრის უკეთ განვითარების მიზნით.

თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო სექტორის ჩართულობა როგორც ზოგადად ინტერნეტის მმართველობის, ასევე, თავისი ccTLD მართვის საქმეში. ინტერნეტის მმართველობა, როგორც ცნობილია, ემყარება ე.წ. „მალტისტეიკჰოლდერიზმის“ პრინციპს, რაც ნიშნავს ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის, როგორც კერძო, ასევე - სახელმწიფო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მომხმარებლის ჩართულობას. ამავე პრინციპს უნდა ემყარებოდეს ccTLD მართვაც, როგორც ინტერნეტის მმართველობის განუყოფელი ნაწილი.

რა განაპირობებს ამას:

როგორც ჩვენს საკონსულტაციო დოკუმენტში აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 2003 წელს, საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტზე (WSIS) მიღებულ სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში (ccTLD) სახელმწიფო რესურსს წარმოადგენს და ამიტომ

სახელმწიფოები მოწოდებულნი არიან, სათანადოდ უხელმძღვანელონ თავისი ccTLD-ების მართვას. „უხელმძღვანელონ“ – იგულისხმება: იურთიერთონ შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტზე დაყრდნობით[4].

საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტს (WSIS), რომელიც ჩატარდა 2003 წლის 10-12 დეკემბერს, ტუნისში, მხოლოდ ორიოდე თვით უძღოდა წინ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების კითხვარი - ცირკულარი 160 (2003 წლის 30 ოქტომბერი). აქვე აღვნიშნავთ, რომ კითხვარის მიზანს წარმოადგენდა არა მხოლოდ მცდელობა იმის დადგენისა, თუ როგორი ტიპის ურთიერთობაა წევრ ქვეყნებსა და მათ ccTLD ადმინისტრატორებს შორის, რასაც კითხვარში დასმული კითხვებიც ადასტურებს[5], არამედ მისი მიზანი იყო, გაეზარდა საყოველთა გაგება იმისა, თუ რა როლი უნდა ჰქონდეს ეროვნულ მთავრობას თავისი ზედა დონის დომენების ადმინისტრირების საქმეში[6]. ეს კი გამოიწვია იმან, რომ 1998 წლის 21 ნოემბრიდან, მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის შექმნის დღიდან, ყურადღება მთლიანად კონცენტრირდა ინტერნეტ-კორპორაციის ოპერაციებზე, ხოლო ეროვნული მთავრობების როლი, მეტ-ნაკლებად, მიიჩქმალა[7].

გამომდინარე აქედან, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტი (GAC) იძლევიან რეკომენდაციებს იმის თაობაზე, რომ ქვეყნის მთავრობამ/შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ სამართლებრივად უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა თავის ccTLD ადმინისტრატორთან, უფრო აქტიურად ჩაერიოს თავისი ccTLD-ის მართვაში და დააფუძნოს ეს ურთიერთობა სამართლის ნორმებზე და/ან კონტრაქტებზე, მემორანდუმებზე, სხვა წერილობით დოკუმენტებზე... ამავე დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის მთავრობა ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანო რეკომენდებულია, უზრუნველყოს, რომ თავისი ccTLD-ს მართვა და ადმინისტრირება ხორციელდებოდეს საზოგადოების ინტერესების, ამავდროულად, შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების გათვალისწინებით[8].

2015 წლის 8-12 თებერვალს, სინგაპურის შეხვედრის დროს, ccTLD დელეგირებისა და რედელეგირების შესახებ სამუშაო ჯგუფის ანგარიშის მოსმენისას, სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტმა დაადგინა, რომ ურთიერთთანამშრომლობის განსაზღვრა მთავრობასა და ccTLD მენეჯერს შორის მეტად მნიშვნელოვანია. გამომდინარე აქედან, სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტში შესაბამის სამუშაო ჯგუფს მიეცა დავალება, კომიტეტის წევრი ქვეყნების გამოკითხვის გზით, გამოეკვლია საუკეთესო პრაქტიკა ამ მიმართულებით[9]. კომიტეტის სამუშაო ჯგუფის კვლევა დაეყრდნო 2014 წელს ჩატარებულ მსგავს გამოკითხვას, სახელწოდებით - „ccTLD და ეროვნული

[4] http://www.itu.int/dms_pub/itu-s/md/03/wsis/doc/S03-WSIS-DOC-0005!!PDF-E.pdf, მუხლი 13, პუნქტი ii., გვ. 7.
[5] https://www.itu.int/osg/spu/forum/intgov04/contributions/governmentsandcctldsfeb04.pdf გვ. 7
[6] https://www.itu.int/osg/spu/forum/intgov04/contributions/governmentsandcctldsfeb04.pdf გვ. 2;
[7] https://www.itu.int/osg/spu/forum/intgov04/contributions/governmentsandcctldsfeb04.pdf გვ. 2;
[8] https://archive.icann.org/en/committees/gac/gac-cctld-principles.htm
[9] https://gacweb.icann.org/pages/viewpage.action?spaceKey=gacmembers&title=Governments+relationship+with+ccTLDs

კანონმდებლობა[10]“. ჯგუფმა თითქმის იდენტური კითხვარი გაავრცელა კომიტეტის წევრებს შორის 2015 წელს. საქართველო მონაწილეობდა ამ კითხვარის შევსებაში, როგორც კომიტეტის სამთავრობო წევრი. კითხვარის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობა, სადაც მთავრობას/შესაბამის სახელმწიფო ორგანოსა და ccTLD ადმინისტრატორს შორის ოფიციალური ურთიერთობა დამყარდა. სწორედ აღნიშნულ 2015 წლის კითხვარის შედეგებს[11] დავეყრდენით ჩვენს საკონსულტაციო დოკუმენტში, როდესაც აღვნიშნეთ, რომ „გამოკითხულთაგან მხოლოდ 7 ქვეყანაში არ არის ოფიციალური, სამართლებრივ დოკუმენტზე დამყარებული ურთიერთობა მთავრობას/შესაბამის სახელმწიფო ორგანოსა და მის ccTLD ადმინისტრატორს შორის. ამ 7 ქვეყნიდან 3 (მათ შორის - საქართველო) არის ძიებაში და სწავლობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, თუ როგორ, რა ფორმით დაამყარონ ოფიციალური ურთიერთობა თავის ccTLD ადმინისტრატორებთან“.

ეს ყოველივე იმას მიუთითებს, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცევა ICANN/GAC-ის მხრიდანაც მთავრობის/შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ჩართულობას თავის ccTLD-ის მართვაში, როგორც საუკეთესო და გამართლებულ პრაქტიკას.

დავამატებთ, რომ 1992 წლის 2 დეკემბრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს **.ge** ccTLD მოენიჭა, დომენების სისტემა სწორედ თვითრეგულირების პირობებში იყო დატოვებული, რამაც, სამწუხაროდ არ გაამართლა, რაც ჩვენს საკონსულტაციო დოკუმენტში დასმულ კითხვებზე შემოსული პასუხებიდანაც ჩანს (პასუხებს ქვემოთ განვიხილავთ და დანართის სახითაც წარმოვადგენთ).

რაც შეეხება იმ კითხვას, თუ „რითია განპირობებული ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირების დანერგვის საკითხის წინ წამოწევა“, ვფიქრობთ ეს ნათლად ჩანს როგორც ჩვენი საკონსულტაციო დოკუმენტიდან, ასევე - ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან და ასევე, რესპოდენტთა პასუხების უმრავლესობიდან.

შპს „კავკასუს ონლაინის“ წერილიდან ჩანს, რომ შპს „კავკასუს ონლაინს“ დაწყებული აქვს მუშაობა ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელის დასანერგად, თუმცა „შპს „კავკასუს ონლაინი“ ბაზარზე დარჩება, როგორც ადმინისტრატორ-რეგისტრატორი და ამასთანავე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაბამისი პირობების დაკმაყოფილებისა და შპს „კავკასუს ონლაინთან“ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში მიენიჭება რეგისტორის უფლებები. შემუშავებული მოდელი მიზნად ისახავს ბაზარზე არსებული სიტუაციის წახალისებასა და მომხმარებლების ინტერესებისა და მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას“. კომისია მიესალმება შპს „კავკასუს ონლაინის“ ამ სიახლეს, თუმცა აღნიშნავს, რომ ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელი გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრატორი თავად არ აწარმოებს დომენური სახელების რეგისტრაციას. ეს ხორციელდება რეგისტრატორების მეშვეობით. ICANN-ის რეკომენდაციით, ხელი უნდა შეეწყოს ყველა

[10] https://docs.google.com/file/d/0BzqpE890O2UoaTAzRjVqczliSjA/edit
[11] https://gacweb.icann.org/pages/viewpage.action?spaceKey=gacmembers&title=Governments+relationship+with+ccTLDs

რეგისტრატორის ერთნაირ პირობებში ჩაყენებას, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ბაზრის უკეთ განვითარების მიზნით.

2. მამუკა მონავარდისაშვილი, საინფორმაციო ტექნოლოგიათა განვითარების ცენტრი (ITDC), .გე დომენის ადმინისტრატორი

მივესალმებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელი კომისიის ინიციატივას მოხდეს იმ ძირითადი პრინციპებისა და წესების შემუშავებადა მიღება, რომლებიც, საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და დაინტერესებული პირებისმოსაზრებებზე დაყრდნობით, ხელს შეუწყობს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვისა და ადმინისტრირების საერთაშორისო სტანდარტებთან დარეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანას, ასევე - აღნიშნულ ბაზარზე კონკურენციის განვითარებასა და მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დაცვას.

საინფორმაციო ტექნოლოგიათა განვითარების ცენტრი ეთანხმება კომისიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დაინერგოს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება და ამავდროულად თანახმაა რეგულირება განახორციელოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ.

ვეთანხმებით იმ აზრს, რომ კომისიის, ორივე ადმინისტრატორისა (.ge , .გე) და საქართველოს ინტერნეტ საზოგადოების აქტიური ჩართულობით, სათანადოსაერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უნდა მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივიდოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება კომისიისა და ორივე ადმინისტრატორის (.ge, .გე) უფლებები, ვალდებულებები და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები.

საინფორმაციო ტექნოლოგიათა განვითარების ცენტრი ერთმნიშვნელოვნად ეთანხმება ასევე კომისიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოში სასწრაფოდ უნდა დაინერგოს ccTLD ადმინისტრატორ- რეგისტრატორის მოდელი, რაც მოაგვარებს დომენების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ არსებულ პრობლემებს.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ამ მიმართულებით .ge დომენის ადმინისტრატორი კავკასუს ონლაინი უკვე აწარმოებს ამ მოდელზე გადასვლისათვის საჭირო ტექნიკური სამუშაოებს.
რაც შეეხება .გე ზონას, ჩვენ როგორც ამ ზონის ადმინისტრატორები სხვა მოდელს არც განვიხილავთ.
კომისიის მოსაზრებას იმის თაობაზე რომ ccTLD ადმინისტრატორის შერჩევა უნდა ხორციელდებოდეს კონკურსის გზით რა თქმა უნდა ვეთანხმებით, თუმცაღა არსებული

სიტუაციიდან გამომდინარე ამ წესის გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ რედელეგირების პროცედურის განხორციელებისას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

და ბოლოს დავამატებდი რომ ინტერნეტის მართვის საყოველთაო პრინციპია ყველა დაინტერესებული მხარის (სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, ბიზნესი) თანაბარი დოზით ჩართულობა ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას.

ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ სახელმწიფო ორგანოების როლის განსაზღვრის საკითხს ინტერნეტის მმართველობისა და რეგულაციის საქმეში და ვუზრუნველყოთ ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალურად მაღალი ხარისხის გამჭვირვალობა და ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური ჩართულობა.

პატივისცემით,

მამუკა მონავარდისაშვილი
საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების
ცენტრის თავმჯდომარე

კომისიის პასუხი:

კომისია ეთანხმება საინფორმაციო ტექნოლოგიათა განვითარების ცენტრს, რომ „ინტერნეტის მართვის საყოველთაო პრინციპია ყველა დაინტერესებული მხარის (სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება, ბიზნესი) თანაბარი დოზით ჩართულობა ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას“. სწორედ ეს იყო მიზანი კომისიის მიერ მიმდინარე თემაზე საკონსულტაციო დოკუმენტის გამოქვეყნებისა - ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტაში. კომისია იმედს გამოთქვამს, რომ ITDC აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ საკითხზე შემდგომ მუშაობაშიც.

3. ანდრია ზოდელავა, შპს „მაგთიკომი“

*საქ*ართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 4 მაისის N02/1336-16 წერილის პასუხად, გაცნობებთ, ჩვენი კომპანიის პოზიციას კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ

საკონსულტაციო დოკუმენტთან დაკავშირებით (ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის (country code Top Level Domain - ccTDL) მართვისა და ადმინისტრირების თაობაზე).

უპირველეს ყოვლისა, მივესალმებით აღნიშნული საკითხით კომისიის დაინტერესებას და მხარს ვუჭერთ კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობას საკონსულტაციო დოკუმენტში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან მიგვაჩნია, რომ საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და გაანლიზებისათვის საჭიროა სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და ამავე დროს ქვეყნის დონეზე შესაბამისი კვლევების ჩატარება. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია კომისიამ უზრუნველყოს საკითხის საჯარო განხილვა, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი პოზიცია. მხოლოდ ასეთი მიდგომით იქნება შესაძლებელი მიღებულ იქნას სწორი გადაწყვეტილება, რომელიც არ დააზარალებს არც კერძო და არც საჯარო ინტერესებს.

ჩვენი კომპანია მზად არის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები, რომლებიც აქტიურად მიიღებენ მონაწილოებას საკითხის განხილვაში.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე ანდრია ზოდელავა

კომისიის პასუხი:

კომისია აღნიშნავს, რომ საკონსულტაციო პროცესი და შესაბამისად, საჯარო განხილვაც, ამ თემაზე დაიწყო საკონსულტაციო დოკუმენტის გამოქვეყნების დღიდან და მოხარულია შპს „მაგთიკომის“ მზადყოფნით, ჩაერთოს საკითხის განხილვის მომდევნო ეტაპებში.

4. გიორგი მირზიკაშვილი, მომხმარებელი

1. პასუხი: დიახ, ვეთანხმები. ვფიქრობ, რომ ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება აუცილებლად უნდა ხდებოდეს არაკომერციული ორგანიზციის მიერ, უფრო კონკრეტულად კი ეს საქმე უნდა გააკეთოს მარეგულირებელმა როგორც სახელმწიფოს წამომადგენელმა.
2. პასუხი: არსებული რეალობის გათვალისწინებით, ვიფქრობ რომ ცვლილებები ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში აუცილებლად უნდა შევიდეს!
3. პასუხი: კი, ვეთანხმები! ეს გაზრდის კონკურენციას და მომხარებლებს დამატებითი სარგებლის მიღების საშუალებას მისცემს. ასევე გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი!
4. პასუხი: კონკურსი არის საუკეთესო გზა!

პატივისცემით,

გიორგი მირზიკაშვილი
CRM-ის და კამპანიების მართვის ჯგუფის უფროსი. თიბისი ბანკი

5. ლაშა კვანტალიანი, კომპანია „ფლექსიბოქსი“

1. პირველი დონის დომენის მართვა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს და ეცადოს შექმნას რაც შეიძლება კონკურენტუნარიანი გარემო, გახადოს .ge დომენი ხელმისაწვდომი რაც შეიძლება მარტივად ნებისმიერი რეგისტრანტისთვის, რათა გაიზარდოს კონკურენცია კერძო კომპნაიებს შორის, დაიხვეწოს და განვითარდეს დომენთან დაკავშირებული სერვისები (მაგალითად ჰოსტინგი, ვებ-საიტ ბილდერები) და ა.შ. კერძო კომპანიას ყოველთვის ექნება პირადი ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეული შეზღუდვები.
2. დიახ, მსგავსი დოკუმენტი ნათელს გახდიდა ურთიერთობის ფორმას ჩართულ მხარეებს შორის.
3. აღნიშნული მოდელი მიზანშეწონილია.
4. ადმინისტრატორმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური წვდომის სიმარტივე, არ უნდა შექმნას დამატებითი ბარიერები რეგისტრატორებისთვის და სხვა.
   შესაბამისად ჯობია შემუშავდეს მოთხოვნების ნუსხა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრატორი.
   ===
   ლაშა კვანტალიანი
   კომპანია "ფლექსბოქსის" (www.flexbox.ge), helix.ge-ს და www.treepex.com -ის
   დამფუძნებელი

კომისიის პასუხი

კომისია ეთანხმება მომხმარებელს მეოთხე კითხვის პასუხში დაყენებულ მოთხოვნაში და მოხარული იქნება, თუ ბატონი ლაშა კვანტალიანი ჩაერთვება საკითხის დამუშავების მომდევნო ეტაპში.

6. მომხმარებელი

გამარჯობა,

თქვენს საიტზე გამოქვეყნდა საკონსულტაციო დოკუმენტი - ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის (country code Top Level Domain – ccTLD) მართვა-ადმინისტრირების რეგულირების

საკითხები, სადაც საზოგადოებისთვის იყო რამდენიმე კითხვა დასმული. ამიტომ მეც მოვიწერები ჩემს კომენტარს.

1. რადგან საქმე ეხება ქვეყნის კოდს ზედა დონის დომენში, მეც ვფიქრობ, რომ კარგი იქნება რაიმე სახის რეგულაცია ან გავლენა ჰქონდეს მის მართვა-ადმინისტრირებაზე რომელიმე ეროვნულ სტრუქტურას და სრულად დამოკიდებული არ იყოს კონკრეტული კომერციული კომპანიის ინტერესებზე. ამ შემთხვევაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია შეიძლება სწორი ორგანო იყოს ამ რეგულაციისთვის.
2. კი, ვეთანხმები. რადგან რეგულაციას კანონი სჭირდება და კარგი იქნება თუ არსებულ ადმინისტრატორებთან თანამშრომლებით და IANA-ს თუ სხვა შესაბამისი ორგანიზაციების რეკომენდაციებით მოხდება ამ დოკუმენტებზე მუშაობა.
3. ადმინისტრატორი-რეგისტრატორების მოდელის დანერგვამ წესით უფრო კონკურენტული გარემოს შექმნა უნდა გამოიწვიოს, რაც მომხმარებლისთვის სერვისების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. თუმცა თუ ასეთი მოდელისკენ წავა საქმე, რეგისტრატორებიც რაღაც ვალდებულებებს და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ, მაგალითად როგორც IANA ითხოვს კვალიფიკაციებს, სანამ რეგისტრატორობის უფლებას გასცემს. ახლა კავკასუსს უკვე დიდი გამოცდილება აქვს ამ კუთხით და ნდობით სარგებლობს. სხვა რეგისტრატორებზე თუ გადავა დომენების რეგისტრაცია / შენახვის ფუნქციები, მათაც უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობები.
4. სამართლიანია, რომ კონკურსის გზით ხორციელდებოდეს ccTLD-ის ადმინისტრატორის შერჩევა.

პატივისცემით,
(მომხმარებელმა არ მოისურვა თავისი ვინაობის გამოქვეყნება)

კომისიის პასუხი

სრულიად სამართლიანია მომხმარებლის მოთხოვნა. კომისიას მიაჩნია, რომ რეგისტრატორად უნდა შეირჩეს ყველა ის დაინტერესებული პირი, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს.

7. ოლღა ნადირაძე, მომხმარებელი

მოგესალმებით,

http://gncc.ge/-ს გვერდზე გავეცანი გამოქვეყნებულ საკონსულტაციო დოკუმენტს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირების საკითხების

შესახებ, და მინდა ორიოდ სიტყვით, როგორც რიგითმა ინტერნეტ მომხმარებელმა, ჩემი აზრიც დავაფიქსირო.

1) უპირველეს ყოვლისა, სრულებით ვეთანხმები აღნიშნულ პროექტს, და მგონია, რომ ეს საკითხი აქამდეც უნდა მოგვარებულიყო. ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში სახელმწიფოსთვის მსოფლიოში ცნობადობის ამაღლებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობა-ძლიერებისა და განვითარების ერთ-ერთ (პატარა მაგრამ მნიშნელოვან) ნაწილს წარმოადგენს, ერთგვარ "რესურსს" რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

   ამჟამად ასებობს ერთადერთი კომპანია, რომელსაც .ge დომენის ადმინისტრატორის ფუნქცია აკისრია, და ფაქტიურად მონოპოლისტად გვევლინება. ვერავინ ახორციელებს იმის რეგულირებას, თუ როდის და რა ვითარებაში შესაძლოა გასხვისდეს ეს კომპანია (http://2tv.ge/ge/videos/view/152761.html როგორც მაგალითად ერთხელ უკვე მოხდა გაერთიანება მაგთიკომისა და კავკასუსის, შესაძლოა მომავალში ქვეყნისათვის არასტრატეგიულმა მხარემ/კომპანიამ/ქვეყანამ ჩაიგდოს ხელში .ge დომენის მართვის სადავეები). შესაბამისად აუცილებლად უნდა არსებობდეს რაიმე სახის ბერკეტები მსგავსი საფრთხეების თავიდან ასარიდებლად. მითუმეტეს, როდესაც ევროპული კურსი აქვს ქვეყანას აღებული, აუცილებელია (სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც) იქნეს გათვალისწინებული ევროპული გამოცდილება და რეკომენდაციები.

   რადგანაც მგონია, რომ სახელმწიფო პირდაპირი გზით არ უნდა ერეოდეს მსგავს საკითხებში (პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე) მგონია, რომ ზუსტად დამოუკიდებელმა (ეროვნულმა) მარეგულირებელმა კომისიამ უნდა განახორციელოს რეგულირება, რამეთუ იგი წარმოადგენს სხვადასხვა მსოფლიო ორგანიზაციების წევრს და საკითხში ღრმად ჩახედულ ორგანოს.

2) საკითხი ნამდვილად აუცილებლად ორივე მხარის ჩართულობით უნდა გადაწყდეს და ორივე მხარის უფლება ვალდებულებებიც წინასწარ, ერთმანეთთან შეთანხმებით უნდა შემუშავდეს, რათა არ მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ჩარევა და შეზღუდვების დაწესება.

3) ადმინისტრატორ- რეგისტრატორის მოდელის დანერგვას სრულებით ვემხრობი.

4) ადმინისტრატორის შერჩევა (ისევე როგორც სხვა სფეროს ნებისმიერი საკითხი) უნდა წყდებოდეს მიუკერძოებელი და ღია კონკურსის გზით, ისევ და ისევ მონოპოლიის და ნებისმიერი დაინტერესებული პირის მხრიდან ზეწოლისა თუ ლობირების ფაქტების თავიდან ასაცილებლად.

   პატივისცემით

ოლიკო ნადირაძე
გრაფიკული დიზაინერ-ილუსტრატორი

8. ხატია ლაპიაშვილი, მომხმარებელი

მოგესალმებით,

თქვენს - http://gncc.ge/ - ის გვერდზე გამოქვეყნებულ
ქვეყნის კოდის (Country code Top Level Domain - ccTLD) მართვა-ადმინისტრირებუს რეგულირების საკითხები - საკონსულტაციო დოკუმენტი" - გავეცანი.

1. კი ვეთანხმები. აუცილებელია ხდებოდეს ამ საკითხის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება. უცილებელია მრავალფეროვანი იყოს ბაზარი და მხოლოდ ერთი კომპანია არ სარგებლობდეს .ge დომენის მართვის უფლებით. ეს ანტიკორუფციული და ანტიმონოპოლიური ქმედებების აღმოსაფხვრელად გდადგმული ნაბიჯიც იქნება. მეორეც, შესაძლოა რომელიმე სხვა ფირმამ ან კომპანიამ ან დაინტერესებულმა მხარემ უფრო უკეთესი პირობები და ტექნიკური საშუალებები შესთავაზოს მომხმარებელს, მათ შორის ტარიფებიც, რომელიც დღეს არ რეგულირდება. ამიტომ ყველაფერი კონკურსის გზით უნდა წყდებოდეს და არა „პირველმა გააკეთა განაცხადი“ პრინციპით.

2. კი ვეთანხმები. თუ საჭიროა აუცილებლად უნდა შევიდეს სათანადო ცვლილებები კანონმდებლობაში, ორივე მხარის მოსაზრებების გათვალისწინებით, რათა მომავალში მაქსიმალურად იყოს დაცული როგორც ერთი ისე მეორე მხარის უფლებები.

3. ამ პუნტსაც ვეთანხმები.

4. როგორც აღვნიშნე უკვე, აუცილებელია კონკურსის გზით კანდიდატების შერჩევა, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მიკერძოებულობა, კორუფცია და ა.შ.

Khatia Lapiashvili {Web Designer}

9. იოსებ მესხიშვილი, UGT

1. კომისიას ვეთანხმები რომ საჭიროა დაინერგოს რაიმე მართვის/რეგულირების მეთოდი ccTLD დომენის ადმინისტრატორის მიმართ. დოკუმენტში ჩამოთვლილ ყველა მაგალითში ხორცილდება აღნიშნული მართვა ზოგ შემთხვევაში საკანონმდებლო დონეზე ზოგ შემთხვევაში პირდაპირ სახელმწიფოს მიერ.

ვფიქრობ კრიტიკულია რომ რომელიმე ერთი კომერციული ორგანიზაცია არ განკარგავდეს .ge დომენის განვითარების ბედს რადგან ხშირ შემთხვევაში განვითარებისთვის საჭირო დამატებითი რესურსი კონფლიქტში მოდის ორგანიზაციის მოკლე/საშუალო ვადიან კომერციულ პოლიტიკასთან.

ძალიან სწრაფად ვითრდება ტექნოლოგიები და შესაბამისად ბევრად მეტი სერვისის დანერგვა არის შესაძლებელი ვიდრე იყო რამდენიმე წლის წინ. უნდა არსებობდეს ორგანო რომელის პირველადი ამოცანა არა მოგება არამედ .ge დომენ ინფრასტრუქტურის განვითარება იქნება.

ასევე ვფიქრობ რომ ამ ეტაპზე მისაღები იქნება რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აიღოს თავის თავზე აღნიშნული საკითხის მართვა. კარგი იქნება მომავალში თუ შეიქმნება ქვეყანაში ინტერნეტის განვითარების კომისიის მაგვარი ორგანო და ის იზრუნებს აღნიშნული საკითხის მართვაზე. ამ კომისიაში შეიძლება შევიდეს როგორც მარეგულირებელის, ისე მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ან რაიმე სხვა სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები და ინფორმაციული უსაფრთხოების სპეციალისტები.

2. ტექსტიდან როგორც ჩანს, ამ ეტაპზე იგეგმება რომ .ge დომენს ჰყავდეს ორი ადმინისტრატორი. ჩემის აზრით აღნიშნული მოდელი იქნება არაფექტური და შესაბამისი საკამონდებლო ბაზაც რთული და ბუნდოვანი. ვფიქრობ უნდა იყოს ერთი ორგანო რომელიც იქნება პაუსიხმგებელი განვითარებაზე და ადმინისტრირებაზე, მარეგულირებელმა უნდა იტვირთოს თავზე აღიშნული ფუნქცია და საჭიროების შემთხვევაში არსებულ ადმინისტრატორს უნდა აუნაზღაურდეს აღნიშნული ფუნქციის დაკარგვის შედეგად მიყენებული ზარალი თუ ასეთი იქნება. ან ფულადი სახით ან გარკვული პერიოდით ექსკლუზიური რეგისტრატორის უფლებით ან რამე მსგავსი სქემით.
3. მიმაჩნია რომ უნდა დაინერგოს აღნიშნული მოდელი და აუცილებელიც არის. მართალია ამ ეტაპზე .ge დომენი პატარა ბაზარია და დიდი კომერციული ინტერესები არაა თუმცა ყველაფერი ძალიან მაღალი სიჩქარით ვითარდება და რემოდენიმე წელიწადში შეიძლება საინტერესო იყოს სხვადასხვა ორგანიზაციისთვის რეგისტრატორის სერვისის მიწოდება. აუცილებელია რომ აღნიშნულის შესაძლებლობა შეიქმნას უკვე ეხლა მიუხედავად იმისა რამდენი ორგანიზაცია გამოთქვავს რეგისტრატორობის სურვილს. აღნიშნული სქემა იქნება დამატებითი განვითარების გარანტია.
4. მიმაჩნია რომ ccTLD ადმინისტრატორი უნდა იყოს რაიმე კომისია სადაც წარმოდგენილი იქნება როგროც სახელმწიფო ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და აუცილებლად უსაფრთხოების ექსპერტები. რადგან .ge დომენის მართვა, განვითარება და უსაფრთხოება არის არამარტო სახელმწიფოს ინტერესი და ამოცანა არამდენ საზოგადოებისაც.

კომისიის პასუხი

პირველ ყოვლისა, კომისიას სურს განმარტოს, რომ არ იგეგმება, .ge დომენს ჰყავდეს ორი ადმინისტრატორი. აღნიშნული ეწინააღმდეგება დომენის მართვის წესებს, საერთაშორისო პრაქტიკასა და რეკომენდაციებს. საკონსულტაციო ტექსტში ნახსენები ფრაზა „ორივე ადმინისტრატორი (.ge, .გე)“ არ გულისხმობს იმას, რომ .ge დომენს უნდა ჰყავდეს ორი ადმინისტრატორი. ყოველ ccTLD-ს ჰყავს ერთი უნიკალური ადმინისტრატორი, რომლის პასუხისმგებლობის ქვეშაც არის დელეგირებული ccTLD; იგი დარეგისტრირებულია IANA–ს მონაცემთა ბაზაში და ახორციელებს ccTLD–ს ადმინისტრაციულ კონტროლს [12]. მაგრამ საქართველოს, ისევე, როგორც სხვა არალათინურენოვან ქვეყნებს, მონიჭებული აქვს როგორც ქვეყნის კოდი ზედა დონის დომენში - .ge, ასევე - ქვეყნის ეროვნული კოდი ზედა დონის დომენში - .გე. თითოეულ მათგანს ჰყავს თავისი ადმინისტრატორი (თითოეულს ერთი). შესაბამისად, ფრაზაში - „ორივე ადმინისტრატორი (.ge, .გე)“ - ჩვენ ვიგულისხმეთ .ge-ს ერთი ადმინისტრატორი - შპს „კავკასუს ონლაინი“ და .გე-ს ერთი ადმინისტრატორი - საინფორმაციო ტექნოლოგიათა განვითარების ცენტრი.

რაც შეეხება UGT რეკომენდაციას ccTLD-ის ადმინისტრირების დამარეგულირებელი კომისიის შექმნის თაობაზე, ეს არის ესტონეთის მოდელის მსგავსი. ესტონეთის მოდელი ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ჩვენს საკონსულტაციო დოკუმენტში:

„ესტონეთი (.ee) - ადმინისტრატორი: „Estonian Internet Foundation“; რეგულირდება 2014 წლის 6 იანვრის ნორმატიული აქტით - „.EE დომენის რეგულირება“ - ზედამხედველთა საბჭოს მიერ. ზედამხედველთა საბჭოში შედიან: ესტონეთის ეკონომიკური ურთიერთობებისა და კომუნიკაციების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რეფორმების პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ზედამხედველთა საბჭოს მართავს მმართველთა საბჭო“ (საკონსულტაციო დოკუმენტი, გვ. 8).

აღნიშნული მოდელი საინტერესოა, თუმცა ესტონეთს გარდა ფაქტობრივად არსად არის მიღებული. აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას ჩვენ განვიხილავთ, რამდენად მიუდგება ეს მოდელი ჩვენს რეალობას.

10. ეკატერინე გადახაბაძე, მომხმარებელი

[12] https://www.iana.org/help/gtld-delegation

ვეთანხმები, რომ საქართველოში უნდა დაინერგოს ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირება და აღნიშნულის რეგულირება უნდა განახორციელოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ.

საჭიროა მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი რომლის საფუძველზეც განისაზღვრება კომისიისა და ორივე ადმინისტრატორის (.ge, .გე) უფლებები და ვალდებულებები.

ასევე ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც უნდა დაინერგოს ccTLD ადმინისტრატორ - რეგისტრატორის მოდელი და

შესაბამისად ccTLD ადმინისტრატორის შერჩევა უნდა ხორციელდებოდეს კონკურსის გზით.

11. სანდრო ქარუმიძე, Internet Society (ISOC) – Georgian Chapter

„18 ივნისი 2016 წელი

მოგესალმებით ბატონებო,

საერთაშორისო ორგანიზაცია Internet Society (ISOC) ქართული წარმომადგენლობის (ISOC-Georgia Chapter) წევრებმა შევისწავლეთ და განვიხილეთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოსაზრებები და წინადადებები ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის (country code Top Level Domain – ccTLD) მართვისა და ადმინისტრირების რეგულირების თაობაზე რომელიც გამოქვეყნდა კომისიის ვებ გვერდზე 2016 წლის 27 აპრილს.

დოკუმენტი განხილული იქნა ccTLD ადმინისტრირების საკითხზე მიძღვნილი ISOC-Georgia ის მუშა ჯგუფის მიერ და ძირითადად გამოხატავს მოცემული ჯგუფის და ISOC-Georgia საბჭოს პოზიციას.

ccTLD მიძღვნილ მუშა ჯგუფში შედიან ISOC-Georgia-ს წევრები რომლებსაც აქვთ აქტიური დაინტერესება მოცემულ საკითზე მუშაობაზე. ჯგუფის წევრებს აქვთ ინტერნეტის ტექნიკური სისტემების, ვებ რესურსების და დომენური სახლების სისტემის პროფესიონალურ დონეზე შექმნის და მართვის მრავალწლიანი გამოცდილება.

მოცემული საკითხის შესწავლისას ჯგუფი გაეცნო კომისიის გამოქვეყნებულ დოკუმენტში და ამ დოკუმენტის დანართში მოყვანილ წყაროებს. ასევე გაითვალისწინა ccTLD დომენების ადმინისტრირების პრაქტიკა საქართველოში.

ISOC-Georgia – ს პოზიცია კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტთან და მასში დასმულ კითხვებთან დაფუძნებულია შემდეგი პრინციპებზე:

• ინტერნეტის მართვაზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანიზაციები არის IANA და ICANN და ccTLD -ის ადმინისტრირების წესები ემყარება ამ ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეგულირებებს, პრინციპებს და ე.წ. „ბესტ პრაქტის“ დოკუმენტებს.
• ზემოთხსენებული დოკუმენტებზე დაყრდნობით ccTLD ადმინისტრირება უნდა მოხდეს ადგილობრივი „ინტერნეტ საზოგადოების“ (the Internet community) ინტერესების დაცვით. სახელმწიფო მართვის ორგანოები არის ადგილობრივი „ინტერნეტ საზოგადოების“ ერთ-ერთი და არა ერთადერთი წარმომადგენელი.
• ინტერნეტის ადმინისტრირების ძირითად პრინციპებია: თვით რეგულირება, დაინტერსებული ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება (bottom up approach), გამჭვირვალეობა, კონსენსუსი, ნდობა და სამართლიანობა.
• IANA-ს და ICANN-ას მიერ სახელმწიფოს როლი ინტერნეტის მართვის რეგულირებაში მხოლოდ ძირითადი პრინციპებით არის შემოსაზღვრული. აქედან გამოდინარე სახელმწიფოს ჩარევა ინტერნეტის მართვაში სახვადასხვა ქვეყანაში არის სხვადასხვა, როგორც თავისი შინაარსით ასევე ფორმით, გამომდინარე მოცემულ ქვეყანაში ინტერნეტის განვითარების ისტორიიდან, ქვეყნის სპეციფიკიდან და ამჟამად არსებული საჭიროებებსა და ამოცანებიდან.
• ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ccTLD ადმინისტრირება საჭიროებს გარკვეულ დახვეწას. ccTLD ადმინისტრატორი ვალდებულია იმუშაოს ამ მიმართულებით ლოკალურ „ინტერნეტ საზოგადოების“ ინტერესების გათვალიწინებით.

გამომდინარე ზემოხსენებული პრინციპებიდან და საქართველოში არსებული სპეციფიკიდან
გვინდა დავაფიქსიროთ ჩენი შემდეგი პოზიცია:

ccTLD ადმინისტრირება საქართველოში ნამდვილად მოითხოვს დახვეწას. კერძოდ არსებობს კონკრეტული შენიშვნები ადმინისტრირების წესების მიმართ. ადგილობრივი „ინტერნეტ საზოგადოება“ მოითხოვს დომენების რეგისტრაციის და ადმინისტრირების ფუნქციებს გაყოფას და რეგისტრაციის უფლების დაინტერსებულ ორგანიზაციებზე გადაცემას. ასევე არსებობს მოთხოვნები ინფორმაციის გამჭვირვალეობის გაუმჯობესების მიმართ.

საქართველოში ccTLD-ს ადმინისტრირების 25 წლიანი ისტორიის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ის იყო სტაბილური და ამავე დროს ხასიათდებოდა ადმინისტრირების წესის და პრაქტიკის ეტაპობრივი გაუმჯობესებით „ინტერნეტის საზოგადოების“ ინტერესების გათვალისწინებით.

ჩვენ გვჯერა რომ „ინტერნეტ საზოგადოების“ მიერ დასახული მოთხოვნები შეიძლება რეალიზებული იქნას თვით რეგულირების პრინციპის საფუძველზე. სახელმწიფოს ჩარევა ccTLD ადმინისტრირებასა ან მის რეგულირებაში უნდა განისაზღვროს „ინტერნეტ საზოგადოების“ კონსენსუსით ჩამოყალიბებული საჭიროებების და აქედან გამომდინარე მიზნების საფუძველზე და იმ შემთხვევაში თუ ეს მიზნები ვერ მიიღწევა თვით რეგულირების პრინციპზე დაყრდნობით.

გამომდინარე ჩვენი პოზიციიდან გავცემთ პასუხს თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე:

პასუხი 1[13].
არ ვეთანხმებით. ვთვლით რომ ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა ადმინისტრირების ჰარმონიზაცია საერთაშორის ორგანიზაციებსა და საუკეთესო რეკომენდაციებთან (რომლებიც თავის მხრივა არ არის ცალსახად განსაზღვრული) უნდა ხორციელდებოდეს თვით რეგულირების პრინციპის საფუძველზე ccTLD ადმინისტრატორების ადგილობრივ „ინტერნეტ საზოგადოებასთან“ თანამშრომლობით. სახელმწიფოს ჩარევის შინაარსი და ფორმა უნდა დაფუძნებული იყოს, ადგილობრივ „ინტერნეტ საზოგადოებასთან“ კონსენსუსის საფუძველზე მიზნების და კონკრეტული ამოცანების დეტალური ჩამოყალიბების შემდგომ იმ შემთხვევაში თუ ეს მიზნები ვერ მიიღწევა თვით რეგულირების გზით. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს სახელწიფოს ccTLD რეგულირების სტრატეგია, კონკრეტული გეგმა და მათ საფუძველზე მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტები (კანონი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან სხვა).

პასუხი 2. იხილეთ პასუხი პირველ კითხვაზე

პასუხი 3. დიახ მიგვაჩნია

პასუხი 4. იხილეთ პასუხი პირველ კითხვაზე.

მზათ ვართ განვიხილოთ მოცემული საკითხები თქვენთან შეხვედრის დროს.

პატივისცემით,
სანდრო ქარუმიძე
საბჭოს თამჯდომარე, ISOC-Georgia

დანართი:
რე-დელეგირების პროცესი მოკლე აღწერა:
http://www.internetsociety.org/sites/default/files/ccTLD_redelegation.pdf

[13] ამ და სხვა პასუხებშიც კომისიის კითხვებიც არის მოყვანილი. განმეორების თავიდან ასარიდებლად, კითხვები აღარ მოგვყავს

მთავრობის ურთიერთობა ccTLD-სთან
https://gacweb.icann.org/display/gacweb/Governments+relationships+with+ccTLDs
ეს ის GAC-ია რისი წევრიცაა GNCC
Domain Name System Structure and Delegation
https://www.ietf.org/rfc/rfc1591.txt
Delegating or redelegating a country-code top-level domain (ccTLD)
http://www.iana.org/help/cctld-delegation
Processes for ccTLD Delegations and Redelegations
https://www.iana.org/reviews/kpis-cctld-delegation-201301
CENTR Best Practice Guidelines for ccTLD Managers
https://archive.icann.org/en/cctlds/centr-2nd-best-practices-20may01.htm
ccTLDs & National
Legislation
https://docs.google.com/file/d/0BzqpE890O2UoaTAzRjVqczliSjA/edit?pref=2&pli=1

კომისიის პასუხი:

კომისია მიესალმება „Internet Society (ISOC) – Georgian Chapter"-ის ფარგლებში განხილვაში მყოფი საკითხისადმი მიძღვნილი სამუშაო ჯგუფის შექმნას. აღნიშნულ თემაზე მუშაობის შემდგომ ეტაპზე გადასვლისას კომისია აუცილებლად მიმართავს როგორც ორივე ადმინისტრატორსა და ყველა სხვა დაინტერესებული პირს, ასევე - „Internet Society (ISOC) – Georgian Chapter"-ის სამუშაო ჯგუფს, გამოყონ წარმომადგენლები კომისიასთან ერთად ამ საკითხზე სამუშაოდ. კომისიას სჯერა, რომ „Internet Society (ISOC) – Georgian Chapter"-ის სამუშაო ჯგუფში შემავალი ექსპერტების ცოდნა და ინტერნეტის ტექნიკური სისტემების, ვებ რესურსებისა და დომენური სახლების სისტემის პროფესიონალურ დონეზე შექმნისა და მართვის მრავალწლიანი გამოცდილება ხელს შეუწყობს საკითხზე მუშაობის წარმატებით დაგვირგვინებას.

აქვე, გვსურს, აღვნიშნოთ, რომ კომისია, თავის საკონსულტაციო დოკუმენტში, ეყრდნობა, სწორედ, ICANN-ისა და მისი სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციებს (თუ არ ჩავთვლით ევრორეკომენდაციებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებსა და კვლევებს). რაც შეეხება IANA-ს, ანუ ინტერნეტის მინიჭებული სახელების ორგანოს, ICANN-ის ეს კომიტეტი პასუხისმგებელია ტექნიკურ საკითხებზე, კერძოდ - დომენური სახელების „root" სერვერზე (DNS Root), IP მისამართებზე და ინტერნეტ პროტოკოლის სხვა რესურსებზე. შესაბამისად, ზედა დონის დომენში მართვა-ადმინისტრირების **რეგულირების** საკითხები IANA-ს კომპეტენციაში არ შედის.

თავის პასუხში, „Internet Society (ISOC) – Georgian Chapter"-ი მოითხოვს დომენების რეგისტრაციისა და ადმინისტრირების ფუნქციების გაყოფასა და რეგისტრაციის უფლების დაინტერსებულ ორგანიზაციებზე გადაცემას. სამწუხაროდ, კომისიას, დღეის მდგომარეობით, არა აქვს იმის სამართლებრივი უფლებამოსილება, ეს მოთხოვნა დააკმაყოფილოს. თუმცა, ითვალისწინებს რა „Internet Society (ISOC) – Georgian Chapter"-ისა და სხვა მომხმარებლების

მოთხოვნებს, რაც სავსებით ემთხვევა საერთაშორისო რეკომენდაციებსა და გავრცელებულ პრაქტიკას, ასევე, კომისიის მიდგომას, შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში კომისია გეგმავს აღნიშნული ქმედების განხორციელებას (ადმინისტრატორისა და რეგისტრატორის ფუნქციების გაყოფას).

რაც შეეხება „Internet Society (ISOC) – Georgian Chapter"-ის წერილში დასმულ სხვა საკითხებს, კომისია მათ მიმოიხილავს ზემოთ, შპს „კავკასუს ონლაინის" მიერ გამოგზავნილი პასუხის განხილვაში.

12. შოთა გიორგობიანი, მომხმარებელი

მოგესალმებით,

გავეცანი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივას ზედა დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირების საკითხების შესახებ. ვინაიდან ეს საკითხი მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც ge/გე დომენით მოსარგებლე მოქალაქისათვის, ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას, აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით, კითხვებზე პასუხების სახით:

1. ვიზიარებ იმ პოზიციას, რომ საჭიროა ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა/ადმინისტრირების რეგულირება. ეს ერთის მხრივ შეამცირებს რისკებს, მეორეს მხრივ, გაზრდის მოთხოვნებს და გახდის პროცესს უფრო გამჭვირვალეს. მეორეს მხრივ, ვინაიდან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით მარეგულირებელ ორგანოს, რომელიც ახდენს კომუნიკაციების სფეროსთან დაკავშირებული სხვა საკითხების რეგულირებას, ბუნერივია, რომ ეს საკითხიც კომისიამ აიღოს თავის თავზე, ვინაიდან კომისიის არსებული გამოცდილება და რესურსები უნდა გახდეს გარანტი, რეგულაციის პროცესის სამართლიანად და გამჭვირვალედ წარმართვისა.
2. თავისთავად ცხადია, რომ არსებული ინიციატივა და ის ცვლილებები, რაც ამ ინიციატივით განიხილება, საჭიროებს საკანონმდებლო მხარდაჭერასა და ცვლილებების, ამიტომ ბუნებრივია, რომ კომისიამ უნდა განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების მისაღებად. ასევე ბუნებრივი და მეტიც, აუცილებელია, რომ ეს პროცესი განხორციელდეს არსებული ადმინისტრატორ/რეგისტრატორების დეტალური ჩართულობით, რათა ერთის მხრივ არ მოხდეს მათი ინტერესების უგულვებელყოფა, ხოლო მეორეს მხრივ, საბოლოო საკანონმდებლო ინიციატივა იყოს მაქსიმალურად სამართლიანი და ყველა მხარისათვის მომგებიანი. ამავდროულად ეს პროცესი ღია უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის, ვინც შეიძლება ადმინისტრირების ინტერესს გამოხატავდეს.

3. არათუ მიზანშეწონილად, არამედ აუცილებლად მიმაჩნია, რომ საქართველოში ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელი უნდა დაინერგოს. სხვაგვარად დავრჩებით იმ არასწორ მდგომარეობაში, რაშიც ვართ ამჟამად: ერთი და იგივე კერძო ორგანიზაცია, ითავსებს როგორც ადმინისტრატორის, ისე რეგისტრატორის უფლება-მოვალეობებს, არ არსებობს კონკურენცია, მომხმარებელი არ არის დაცული ფასების/პირობების ცვლილებებისგან და მთელი ge/გე დომენის რეგისტრანტები დამოკიდებული ვართ კონკრეტული კერძო კომპანიების ინტერესებსა და გადაწყვეტილებებზე. როცა გვექნება საშუალება, ავირჩიოთ რამოდენიმე რეგისტრატორს შორის, უკვე შევძლებთ გადაწყვეტილება მივიღოთ ფასისა და მომსახურების ხარისხის მიხედვით, რისი შესაძლებლობაც ამჟამად არ გაგვაჩნია.
4. მსგავს პროცესებში "ველოსიპედის გამოგონება" არ მიმაჩნია სწორ და წარმატებულ ფორმად. ვინაიდან გამოცდილება არსებობს, ვინაიდან ეს გამოცდილება მუშაობს და ეფექტურია, ლოგიკური იქნება, რომ მოხდეს მისი გაზიარება საქართველოშიც. ბუნებრივია, რომ პირდაპირი კოპირება შეიძლება ეფექტური არ აღმოჩნდეს, მაგრამ ის, რომ რაღაც სახის კონკურსი უნდა ჩატარდეს და უნდა არსებობდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ცხადია.

რომ შევაჯამოთ, ამ პროცესის შედეგად, უნდა მივიღოთ დაახლოებით შემდეგი სქემა:

- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, კომისია უნდა ახორციელებდეს რეგულაციას და მონიტორინგს
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების და კონკურსის შედეგად უნდა შეირჩეს ადმინისტრატორი/ადმინისტრატორები
- ნებისმიერ დაინტერესებულ სუბიექტს უნდა შეეძლოს რეგისტრატორად დაფიქსირება, თუ ის დააკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს
- აუცილებელია ამ სქემაში გარკვეული დროითი ლიმიტების შემოღება, რათა რომელიმე დონეზე კონკრეტული ორგანიზაცია არ გახდეს "მარადიული" მფლობელი და განმკარგავი რესურსებისა. მაგალითად 5 წელიწადში ერთხელ მოხდეს გადახედვა/ხელმეორე კონკურსი, რათა არავის გაუჩნდეს "გარანტირებულობის" შეგრძნება.

ამის შედეგად მივიღებთ დეცენტრალიზებულ, უფრო გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოს, სადაც განვითარების პერსპექტივები ბევრად მეტი იქნება, ვიდრე ამჟამად არის.

ცხადია ეს ყველაფერი საჭიროებს შემდგომ, დეტალურ და სიღრმისეულ კონსულტაციებსა და სამუშაო პროცესს, რათა საუკეთესო ვარიანტი შეირჩეს ყველა შესაძლო ვარიანტებს შორის.

იმედი მაქვს ჩემი პასუხები დადებითად აისახება მთლიან პროცესზე და დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

მადლობა.

პატივისცემით,
შოთა გიორგობიანი
UGT
პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტი
მთავარი პროგრამისტი

კომისიის დასკვნა

ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის მართვა-ადმინისტრირების რეგულირების თაობაზე 2016 წლის 27 აპრილს გამოქვეყნებული საკონსულტაციო დოკუმენტის პასუხად შემოსული წერილების საფუძველზე, დაინტერესებული პირების აზრთა გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს:

1. მიმართოს საქართველოს მთავრობას შესაბამისი წინადადებით, აღნიშნულ საკითხზე სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადების თაობაზე;
2. კომისიის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩაერთვებიან როგორც სახელმწიფო, ასევე - არასამთავრობო და კერძო სექტორების, მათ შორის - **.ge** და **.გე** ადმინისტრატორების, „Internet Society (ISOC) – Georgian Chapter“-ისა და ყველა სხვა შესაბამისი დაინტერესებული პირის წარმომადგენლები და დაინტერესებული მომხმარებლები; სამუშაო ჯგუფის მუშაობის მიზანს უნდა წარმოადგენდეს სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდისა და ზედა დონის დომენში ქვეყნის ეროვნული კოდის მართვა-ადმინისტრირების სახელმძღვანელო წესებისა და ამასთანავე, სახელმწიფოსა და **.ge** და **.გე** ადმინისტრატორების უფლებების, ვალდებულებებისა და ურთიერთთანამშრომლობის განმსაზღვრელი შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტის მომზადება.

მუშაობის პროცესი იქნება გამჭვირვალე ყველა ეტაპზე და გათვალისწინებული იქნება დაინტერესებული პირების ინტერესები. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნული განხორციელდება ე.წ. „მალტისტეიკჰოლდერიზმის“ პრინციპის დაცვით, რაც ინტერნეტის მმართველობის საყრდენ პრინციპს წარმოადგენს.

კომისიას მიაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელებით, ზედა დონის დომენში ჩვენი ქვეყნის კოდისა (**.ge**) და ზედა დონის დომენში ჩვენი ქვეყნის ეროვნული კოდის (**.გე**) მართვა-ადმინისტრირება შესაბამისობაში მოვა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციებთან [14],

[14] Council resolution of 3 October 2000 on the organisation and management of the Internet **32000Y1014(02);** Regulation No 733/2002 of the European Parliament and of the Council of 22 April 2002 on the implementation of the .eu Top level Domain

მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციისა (ICANN) და მისი სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (GAC) რეკომენდაციებთან [15] და საერთაშორისო პრაქტიკასთან. აღნიშნულის განხორციელებით წახალისდება კონკურენცია ამ ბაზარზე და ხელი შეეწყობა მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვას.

32002R0733 Amended by **32008R1137** Consolidated text **02002R0733-20081211;** Commission decision 2003/375/EC of 21 May 2003 on the designation of the .eu Top Level Domain Registry **32003D0375;** Commission regulation No 874/2004 of 28 April 2004 laying down public policy rules concerning the implementation and functions of the .eu Top Level Domain and the principles governing registration **32004R0874** Amended by **32005R1654, 32007R1255** and **32009R0560** Consolidated text **02004R0874-20090630.**

[15] www.icann.org; www.gac.icann.org.